კონტრაქტის ბუნებიდან გამომდინარე პროპორცია განისაზღვრება და შემოსავალი აღიარდება როდესაც კონტრაქტის მიხედვით შესრულების ეტაპები შეთანხმდება კომპანიასა და დამკვეთს (შემდგომში - „მხარეები“) შორის. მხარეები ყოველი თვის ბოლოს აფორმებენ მიღება ჩაბარების აქტს შესრულებულ სამუშაოების შესახებ, სადაც განსაზღვრულია კომპანიის შესრულებული სამუშაოს მიხედვით ასაღიარებელი შემოსავალი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე პროექტებზე განისაზღვრება იმ დარჩენილი შემოსავლის და გასანევი ხარჯის რაოდენობა რომელიც კომპანიას მომავალ

განმარტებითი შენიშვნები

პერიოდში აქვს მისაღები და გასაწევი.

იმ შემთხვევაში როდესაც შედეგის შეფასება საიმედოდ არ არის შესაძლებელი, კონტრაქტიდან შემოსავალი აღიარდება იმ განეული ხარჯების ტოლი რაოდენობით, რომელიც გაიწია მოცემულ პერიოდში და რომლის ამოღებაც მოსალოდნელია მომავალში.

კონტრაქტების გადახდევა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც კომპანიას უკვე აღიარებული აქვს როგორც საკონტრაქტო ამონაგები, კომპანია მიუღებელ თანხას აღიარებს, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც საკონტრაქტო ამონაგების კორექტირებად.

კომპანია დამკვეთის მიერ დაკავებულ თანხებს აღრიცხავს როგორც მოთხოვნებს დასახელებით - „დამკვეთისგან მისაღები დაკავებული თანხები“, ხოლო სხვა სახის მისაღებ თანხებს რომელიც კომპანიას აქვს მისაღები შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე - „სამშენებლო კონტრაქტებიდან მისაღები თანხები“.

დამკვეთების მიერ შესრულებულ სამუშაოზე ზედმეტად გადახდილ თანხებს კომპანია აღრიცხავს როგორც ვალდებულებას კონტრაქტებიდან ან როგორც მიღებულ ავანსს.

(ბ) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

(გ) შემოსავალი მომსახურების განევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების განევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

(დ) შემოსავალი იჯარებიდან

შემოსავლები იჯარიდან წარმოადგენს მოძრავი ქონების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს.

(ე) საოპერაციო ხარჯები

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

იჯარები

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან

განმარტებითი შენიშვნები

ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივ მეთოდით, შესაბამისი იჯარი ვადის განმავლობაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს	2.65	2.79
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლისთვის	2.51	2.83
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლისთვის	2.37	2.62

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე

განმარტებითი შენიშვნები

აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 50%-მდე განაკვეთი.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

შეძენილ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს ერიცხება ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15% ოდენობით.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადის, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

განმარტებითი შენიშვნები

4 შემოსავლები და მასთან დაკავშირებული ხარჯები

	2017	2016
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	6,910,028	7,503,194
შემოსავალი მომსახურებიდან	13,599,462	7,171,019
შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან	2,133,557	2,787,299
სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები	(6,314,414)	(6,389,453)
მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	(12,427,250)	(6,740,758)
რეალიზებული მასალების თვითღირებულება	(1,416,562)	(1,527,496)
საოპერაციო მოგება	2,484,821	2,803,805

კომპანიამ 2016 წლის ნოემბერში გააფორმა კონტრაქტი მოვლა-შენახვაზე, რომლის ძირითადი პირობაა ხელშეკრულებაში მითითებულ ზონაში შემავალი საავტომობილო გზებისა და გარე განათების ქსელის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების წარმოება. კონტრაქტის დასრულების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 10 ნოემბერი. კომპანიას აღნიშნული კონტრაქტიდან მიღებული შემოსავალი ნაღიარები აქვს „შემოსავალი მომსახურებიდან“ მუხლში.

„შემოსავალი მომსახურებიდან“ კონტრაქტების დასრულების სტადია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შემოსავლების მეთოდით:

	მოვლა-შენახვის პროექტი	სხვა მომსახურებები	სულ
დღემდე აღიარებული მომსახურების კონტრაქტების ხარჯები	12,817,873	1,332,814	14,150,687
აღიარებული მოგება	1,248,685	85,718	1,334,403
დღემდე აღიარებული შემოსავალი კონტრაქტებიდან	14,066,558	1,418,532	15,485,090
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდები	(13,578,792)	(1,418,532)	(14,997,324)
საკონტრაქტო მოთხოვნა	487,766	-	487,766
პროექტის დასრულების სტადია	60%	100%	

„შემოსავალი მომსახურებიდან“ კონტრაქტების დასრულების სტადია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შემოსავლების მეთოდით:

	მოვლა-შენახვის პროექტი	სხვა მომსახურებები	სულ
დღემდე აღიარებული მომსახურების კონტრაქტების ხარჯები	1,723,437	5,017,321	6,740,758
აღიარებული მოგება	202,191	228,070	430,261
დღემდე აღიარებული შემოსავალი კონტრაქტებიდან	1,925,628	5,245,391	7,171,019
შემცირება: მიღებულ ფულადი გადახდები	(2,034,950)	(5,245,391)	(7,280,341)
საკონტრაქტო ვალდებულება	(109,322)	-	(109,322)
პროექტის დასრულების სტადია	8%	100%	

განმარტებითი შენიშვნები

გარდა მოვლა-შენახვის კონტრაქტისა, 2017 წლის განმავლობაში კომპანიას ასევე ჰქონდა 2017 წელს დაწყებული და დასრულებული სამშენებლო პროექტები, რომელთა თანხების რეკონსილაციას აქვს შემდეგი სახე:

	2017	2016
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	6,314,415	6,389,453
საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება	595,613	1,113,741
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	6,910,028	7,503,194
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდები	(6,777,002)	(7,242,639)
კლიენტებისაგან მისაღები შეზღუდული თანხები	133,026	259,955
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	-	600
პროექტების დასრულების სტადია	93%	100%

5 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	716,608	542,618
უიმედო ვალების ანარიცხის ხარჯი	232,741	-
საიტარო ხარჯი	154,776	62,000
გადასახადები მოგების გარდა	107,726	60,657
საბანკო გარანტიის საკომისიო	38,615	93,086
ჯარიმები	-	95,501
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	36,786	7,731
მივლინების ხარჯები	21,974	45,180
კომუნალური გადასახადები, არაპირდაპირი	20,854	29,925
ბანკის მომსახურების ხარჯი	10,350	9,148
ცვეთა და ამორტიზაცია, არაპირდაპირი	9,134	51,943
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	98,313	87,635
სულ	1,447,877	1,085,424

6 სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს სამშენებლო მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების გაქირავებით მიღებულ შემოსავალს. რამაც 2017 წელს შეადგინა 209,485 ლარი, ხოლო 2016 წელს - 250,442 ლარი.

განმარტებითი შენიშვნები

7 ფინანსური ხარჯები

	2017	2016
სესხის საპროცენტო ხარჯი	34,933	29,969
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	23,775	110,039
საკურსო სხვაობა უცხოურ ვალუტაში აღებულ ფინანსურ იჯარაზე	18,796	43,760
სულ	77,504	183,768

2017 წლის სესხის და იჯარის საპროცენტო ხარჯები არ უკავშირდება წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების თვითღირებულებას.

8 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯები)

	2017	2016
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	4,971	(30,926)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	32,877	6,045
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(15,954)	(28,670)
წმინდა	21,894	(53,551)

9 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებების გავლენა გადავადებულ მოგების გადასახადზე აღწერილია მე-19 განმარტებით შენიშვნაში.

2017 საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 12,200 ლარი (2016:154,435 ლარი).

შპს „იბოლია“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

10 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები ლარი	შენობა- ნაგებობები ლარი	მანქანა- დანადგარები ლარი	ოფისის აღჭურვილობა ლარი	სატრანსპორტო საშუალებები ლარი	ფინ. იჯარით აღებული ლარი	სულ ლარი
თვითღირებულება							
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,500	623,487	5,755,560	105,491	3,790,140	2,076,525	12,369,704
შეძენა	107,061	36,232	431,736	8,747	2,065,300	1,278,134	3,927,211
რეკლასიფიკაცია ლიზინგით აღებული აქტივების	-	-	-	-	2,076,525	(2,076,52)	-
გასვლა/გაყიდვა	-	-	(165,315)	(18,129)	(1,644,192)	-	(1,827,636)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125,561	659,719	6,021,982	96,108	6,287,773	1,278,134	14,469,278
დაგროვილი ცვეთა							
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(232,459)	(3,403,960)	(59,603)	(1,826,928)	(733,975)	(6,256,926)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(17,758)	(650,531)	(9,134)	(643,295)	(55,829)	(1,376,547)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	143,401	10,948	147,112	-	301,461
რეკლასიფიციებული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(733,975)	733,975	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(250,218)	(3,911,090)	(57,789)	(3,057,086)	(55,829)	(7,332,011)
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,500	391,027	2,351,600	45,888	1,963,212	1,342,551	6,112,778
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125,561	409,501	2,110,892	38,319	3,230,688	1,222,306	7,137,267

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების შესაბამისი ვალდებულებები წარმოდგენილია მე-18 განმარტებით შენიშვნაში.

სს „თიბისი“ ბანკთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, კომპანიას დაგირავეული ჰქონდა მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და მიწის ნაკვეთები საბალანსო ღირებულებებით 2,328,276 ლარი, 248,621 ლარი და 125,561 ლარი.

2017 წელს ფინანსური ლიზინგით აღებული აქტივების მუხლიდან სატრანსპორტო საშუალებების მუხლში რეკლასიფიკაციით გადავიდა 2,076,525 ლარის ღირებულების აქტივები, დაგროვილი ცვეთა - 733,975 ლარი, რაც გამოწვეულ იქნა სალიზინგო ხელშეკრულებების ვადის გასვლით და შესაბამისი აქტივების მოიჭარის მფლობელობაში გადასვლით.

2017 წლის ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯიდან 1,367,412 ლარი მიეკუთვნა პროექტების თვითღირებულებას.

განმარტებითი შენიშვნები

11 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები ლარი	სულ ლარი
თვითღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	92,496	92,496
შეძენა	74,890	74,890
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	167,386	167,386
დაგროვილი ცვეთა		
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(30,463)	(30,463)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(15,374)	(15,374)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(45,837)	(45,837)
საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	62,033	62,033
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	121,549	121,549

კომპანიის ბალანსზე არსებული ლიცენზიები წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების (დორღი, ქვიშა და ა.შ.) მოპოვების უფლებებს განსაზღვრული ვადით.

12 მარაგები

	2017	2016
ნედლეული	623,589	466,705
სათადარიგო ნაწილები	372,799	271,739
მზა პროდუქცია	309,092	238,428
საწვავი და საპოხი მასალები	57,800	67,669
სხვა მარაგები	65,038	55,335
სულ	1,428,318	1,099,876

13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები	2,312,605	5,593,718
დამკვეთისგან მისაღები დაკავებული თანხები	133,026	259,955
გადახდილი ავანსები	100,170	100,170
მოთხოვნები მომსახურების გაწევის კონტრაქტებიდან	487,766	600
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(1,589,474)	(1,453,324)
სულ მოთხოვნები	1,444,093	4,501,119

განმარტებითი შენიშვნები

დამკვეთისგან მისაღები დაკავებული თანხები მოიცავს თანხებს რომლებიც კომპანიას უკავდება კონტრაქტის საგარანტიო ვადის გასვლამდე.

მოთხოვნების მომსახურების გაწევის კონტრაქტების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ქვედა ცხრილში მოცემულია საექვო მოთხოვნების რეკონსილაცია 2017 და 2016 წლებისათვის:

	საექვო მოთხოვნების რეზერვი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრისთვის	1,453,324
საექვო მოთხოვნების ანარიცხების ხარჯი	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,453,324
საექვო მოთხოვნების ანარიცხების ხარჯი	232,741
ჩამოწერა წლის განმავლობაში	(96,591)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,589,474

როგორც 2017, ასევე 2016 წლებში არ მომხდარა დარეზერვებული მოთხოვნების დაფარვა.

2017 წელს კომპანიამ ჩამოწერა კლიენტებისაგან მისაღები 96,591 ლარის მოთხოვნები რის მიღებასაც კომპანია მომავალში აღარ მოელოდა.

14 ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული სალაროში	126	15
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	568,004	15,093
საბანკო დეპოზიტები	-	60,782
სულ	568,130	75,890

საბანკო დეპოზიტზე მიღებულმა შემოსავალმა 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 29.6 ლარი (2016: 621 ლარი). საბანკო დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრებოდა წლიური 4%-ით.

განმარტებითი შენიშვნები

15 საწესდებო კაპიტალი

2017 წელს დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალიდან მოხდა 201,348 ლარის გატანა (2016: 650,000).

	საწესდებო კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრისთვის	2,087,000
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	(650,000)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	1,437,000
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	(201,348)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	1,235,652

განაწილებული დივიდენდების თანხამ 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 189,472 ლარი (2016: 560,172 ლარი).

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017	2016
სავაჭრო ვალდებულებები	573,109	3,288,157
სახელფასო ვალდებულება	236,229	194,674
მიღებული ავანსები	143,365	142,861
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	2,768	2,081
სულ	955,471	3,627,773

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა საკონტრაქტო ვალდებულება. ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი მოიცავდა 109,322 ლარის ღირებულების „შემოსავალი მომსახურებიდან“ კონტრაქტების ვალდებულებას.

„შემოსავალი მომსახურებიდან“ კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

17 მიღებული სესხები

კომპანიის მიერ აღებული სესხების ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოკლევადიანი სესხები	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
სს „თიბისი ბანკი“	27-12-17	15-12-18	10.5%	ლარი	200,173
გოდერძიშვილი დავით	01-11-16	31-12-17	20%	ლარი	5,856
სულ ძირი					206,029
გადასახდელი პროცენტი					921
სულ მოკლევადიანი სესხები					206,950

განმარტებითი შენიშვნები

სს „თიბისი ბანკის“ სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 10.5%-ით. ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს შორის არ არის არსებითი სხვაობა.

ბანკისგან აღებული სესხის პროცენტი იფარება ყოველთვიურად, ხოლო ძირი ხელშეკრულების ვადის ბოლოს.

საპროცენტო ხარჯების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-7 განმარტებით შენიშვნაში.

18 ფინანსური ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ ნაშთებს:

	2017	2016
მინიმალური სალიზინგო გადასახადი	1,092,463	610,845
გადახდილი ავანსი	244,603	316,168
სულ სალიზინგო კონტრაქტის თანხა	1,337,066	927,013
მომავალში გადასახდელი პროცენტი	(63,655)	(47,502)
დარჩენილი ღირებულება	(244,603)	(316,168)
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	1,028,808	563,343

მინიმალური სალიზინგო გადასახადი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2017	2016
ერთი წლის განმავლობაში	101,437	485,889
ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში	991,026	124,956
ხუთი წლის შემდეგ	-	-
შემცირება: მომავალში გადასახდელი პროცენტი	(63,655)	(47,502)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დღევანდელი ღირებულება	1,028,808	563,343

ფინანსური იჯარის ვალდებულებების დღევანდელი ღირებულება შესაძლებელია გაანალიზდეს ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	2017	2016
ერთი წლის განმავლობაში	116,335	446,817
ერთ წლის შემდგომ პერიოდებში		
ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში	912,473	116,526
ხუთი წლის შემდეგ	-	-
სულ	1,028,808	563,343

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ლიზინგის მიმღებზე აქტივის მფლობელობა კონტრაქტის ვადის ამოწურვისას გადადის, ხოლო აქტივის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი კონტრაქტის დადებისთანავე.

ფინანსური იჯარების ხელშეკრულებების თანახმად, კომპანია იხდის გრაფიკით განსაზღვრულ თანხას, რაშიც შედის როგორც დარიცხული პროცენტი, ასევე ვალდებულების ძირი.

ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია მე-7 განმარტებით შენიშვნაში.

განმარტებითი შენიშვნები

19 გადავადებული გადასახადი

მე-9 განმარტებით შენიშვნაში აღწერილ საგადასახადო სისტემის ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებს/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება კომპანიის ბალანსზე.

20 პირობითი ვალდებულებები

საბანკო გარანტიები

სატენდერო და მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტებისგან წარმოშობილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღებული საბანკო გარანტიების ჯამური თანხა შეადგენდა 771,585 ლარს (2016: 1,476,965 ლარი).

საბანკო გარანტიები მიღებულია 2017 წლის 5 მაისს სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე და უზრუნველყოფილია მე-10 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ძირითადი საშუალებებით.

21 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიას არ ჰქონია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2017 წელს შეადგინა 113,909 ლარი (2016: 102,371 ლარი).

22 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ცვლილებები ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ შეუცვლია სააღრიცხვო პოლიტიკა განახლებული ფასს მსს-ს შესაბამისად, რის გამოც შესადრისი მონაცემები არ გადაანგარიშებულა და დარჩა უცვლელი.

23 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ დამკვეთი მთლიანად არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას.

განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის მენეჯმენტი საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით ახერხებს რისკების მართვას. კომპანიის ოპერაციების სიმარტივიდან გამომდინარე არ არსებობს რისკების მართვისათვის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აერთიანებს კატეგორიების მიხედვით ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს:

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	568,130	75,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,343,923	4,501,119
სულ	1,912,053	4,477,009

	2017	2016
ფინანსური ვალდებულებები		
<i>ალრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით:</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	955,471	3,627,773
მიღებული სესხები	206,950	98,622
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	1,028,808	563,343
სულ	2,191,229	4,289,738

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი იმისა რომ მეორე მხარე ვერ დაფარავს მთლიან თანხას, როცა დადგება გადახდის დრო. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება, ზოგადად აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

მაქსიმალური რისკი რომლის წინაშეც შეიძლება იყოს კომპანია შეჭამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	568,004	75,875
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,343,923	4,400,949
სულ	1,911,927	4,476,824

კომპანიის არც ერთი მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი.

განმარტებითი შენიშვნები

ლიკვიდრობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდრობის რისკს მართვას მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

შემდეგი ცხრილები აანალიზებს ფინანსურ ვალდებულებებს დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები)

	სავაჭრო და სხვა ვალდებუ ლებები	სესხები	ვალდებულებ ები ფინანსურ იჯარაზე	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	წმინდა
1 წელზე ნაკლები	(812,106)	(206,950)	(116,335)	568,130	1,343,923	776,662
1 - 3 წლამდე	-	-	(912,473)	-	-	(912,473)
3 - 5 წლამდე	-	-	-	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	(812,106)	(206,950)	(1,028,808)	568,130	1,343,923	(135,811)

	სავაჭრო და სხვა ვალდებულ ებები	სესხები	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	ფული და ფულის ექვივალენტ ები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნებ ი	წმინდა
1 წელზე ნაკლები	(3,484,912)	(98,622)	(446,817)	75,890	4,501,119	546,658
1 - 3 წლამდე	-	-	(116,526)	-	-	(116,526)
3 - 5 წლამდე	-	-	-	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	(3,484,912)	(98,622)	(563,343)	75,890	4,501,119	430,132

ამჟამად, კომპანია ელის რომ დაფარავს ყველა ვალდებულებას სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად. იმისათვის, რომ კომპანიამ შეძლოს აღნიშნულის განხორციელება, იგი საოპერაციო საქმიანობიდან ელის საკმარისი ფულადი სახსრების მიღებას.

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში არაა რისკითა. შესაბამისად, კომპანია არ ექვემდებარება სავალუტო რისკებს

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღამდე, 2018 წლის 14 მარტის პარტნიორთა გადაწყვეტილებით გამოცხადდა და გაიცა 15,000 ლარის ოდენობის დივიდენდები.